

## EDUCATIONAL PROGRAM

შეთანხმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან  
შეთანხმების №11, „19“ „სექტემბერი“, 2022 წელი  
პრორექტორი ნინო ჯოჯუა, დოქტორი

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
ოქმი №48, „20“ „სექტემბერი“, 2022 წელი  
ფაკულტეტის დეკანი თამარ შიომვილი, აფილირებული პროფესორი, დოქტორი

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს სხდომაზე  
ოქმი №31, „26“ „სექტემბერი“, 2022 წელი  
რექტორი საფეთ ბაირაქეთთან, დოქტორი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

**საერთაშორისო ურთიერთობები**

თბილისი

2022 წელი

## EDUCATIONAL PROGRAM

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** საერთაშორისო ურთიერთობები / International Relations

**ფაკულტეტი:** სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:** ნიკა ჩიტაძე, აფილირებული პროფესორი,

საკონტაქტო ტელ: +995 32 2595005 (156); ელ-ფოსტა: [nchitadze@ibsu.edu.ge](mailto:nchitadze@ibsu.edu.ge); ბაია ივანეიშვილი (თანახელმძღვანელი), დოქტორი,

საკონტაქტო ტელ: +995 32 2595005 (184); ელ-ფოსტა: [bivaneishvili@ibsu.edu.ge](mailto:bivaneishvili@ibsu.edu.ge)

**განათლების საფეხური:** მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური), ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დონე 7

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური, ძირითადი

**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013):** 0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი / Master of International Relations

**კვალიფიკაციის კოდი:** 0312

**სწავლების ენა:** ინგლისური

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 ECTS

**პროგრამის სტრუქტურა:**

უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS): 1 კრედიტი = 25 საათს, რომელიც ფარავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. პროგრამის შინაარსი შეესაბამება სამაგისტრო საფეხურისთვის ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებს. მისი მოცულობა არის 120 კრედიტი. აქედან:

- სპეციალობის სავალდებულო კურსები - 58 კრედიტი;
- სპეციალობის არჩევითი კურსები - 32;
- სამაგისტრო თეზისი - 30 კრედიტი.

არჩევითი კურსებისთვის განკუთვნილი 32 კრედიტიდან სტუდენტებს უფლება ეძლევათ, გამოიყენონ 8 კრედიტი თავისუფალი კრედიტების სახით.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

## EDUCATIONAL PROGRAM

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად - საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე). პროგრამაზე დაშვების პირობები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის იხილეთ ბმულზე <https://iro.ibsu.edu.ge/en/home>

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2 დონე).

ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვთ დამთავრებული ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მათი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან), ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე, სადაც პირველი/მეორე ოფიციალური ენა არის ინგლისური, ან აქვთ უცხო ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, კერძოდ **CEFR, TOEFL iBT, IELTS, YDS, Cambridge**. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ IBSU.R04 სამაგისტრო სწავლების დებულებაში.

გამოცდები ინგლისურ ენასა და სპეციალობაში განაწილებულია შემდეგი კოეფიციენტის მიხედვით: 40%-60% შესაბამისად.

### საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე და დააკმაყოფილებენ მათდამი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, როგორც დარგში წარმატებული საქმიანობის, ასევე სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების თვალსაზრისით. ამ მიზნის მისაღწევად, პროგრამას აქვს სამი ამოცანა:

1. მისცეს სტუდენტებს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული ევოლუციისა და თეორიის დრმა და სისტემური ცოდნა; დარგის საკვანძო საკითხების, თანამედროვე პროცესებისა და გამოწვევების კრიტიკული გააზრების უნარი;
2. დარგის ამომწურავი, არსებითი და პრაქტიკული ცოდნის (comprehensive, substantive and practical knowledge) გადაცემის საფუძველზე, განუვითაროს სტუდენტებს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარები, რათა შეძლონ ორიგინალური იდეების გენერირება და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა მულტიდისციპლინარულ გარემოში;
3. განუვითაროს სტუდენტს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა დარგის უახლესი მეთოდოლოგიური მიდგომებისა და ინოვაციური ტექნიკების გამოყენებით, კვლევის აკადემიური და ეთიკური სტანდარტების დაცვით.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიულ მიზანს და თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

## EDUCATIONAL PROGRAM

### სწავლის შედეგები:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულებს ჩამოყალიბდებათ სპეციალობისთვის აუცილებელი შემდეგი ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, რომლებიც მოიცავენ ცოდნასა და გაცნობიერებას; უნარებს; პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას:

1. განიხილავს თანამედროვე სამეცნიერო დისკურსს დარგის ონტოლოგიურ, ეპისტემოლოგიურ და მეთოდოლოგიურ საკითხებთან მიმართებით; შეუძლია ფილოსოფიური პარადიგმებისა და კონცეპტების საკუთარ კვლევით პროექტში გამოყენება;
2. კრიტიკულად იაზრებს, განმარტავს და განასხვავებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის როგორც კლასიკურ სკოლებს, ასევე თანამედროვე ტენდენციებსა და პარადიგმებს; ახდენს თეორიული სკოლების კლასიფიცირებას და შეფასებას როგორც სამეცნიერო დისკურსში პოზიციონირების (ონტოლოგიურ, ეპისტემოლოგიურ და მეთოდოლოგიურ საკითხებთან მიმართებით გამოკვეთილი პოზიციების თვალსაზრისით), ასევე, თეორიების მიერ არგუმენტირებული აქტორების ქცევის დეტერმინანტების თვალსაზრისით საერთაშორისო ურთიერთობებში; შეუძლია შექმნას თეორიული ჩარჩო საკუთარი კვლევითი პროექტისთვის და მოახდინოს ემპირიული მონაცემების ინტერპრეტირება შესამაბისი თეორიული არგუმენტების საშუალებით;
3. კრიტიკულად იაზრებს საკვანძო მოვლენებს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში და ახდენს მათ კონტექსტუალიზაციას; განსაზღვრავს და განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დისციპლინის ჩამოყალიბების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებს;
4. განიხილავს და კრიტიკულად აანალიზებს თანამედროვე მსოფლიო წესრიგს; ავლენს დარგის ამომწურავ, არსებით და პრაქტიკულ ცოდნას (comprehensive, substantive and practical knowledge) საერთაშორისო ურთიერთობების საკვანძო საკითხების, თანამედროვე პროცესებისა და გამოწვევების შეფასებისას;
5. სხნის ომისა და მშვიდობის შესაძლებლობებს საერთაშორისო ურთიერთობებში, შესაბამისი თეორიული ჩარჩოს გამოყენებით, აანალიზებს სახელმწიფოთაშორის და შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებს; განიხილავს და კრიტიკულად აანალიზებს საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებს; თეორიულ და პრაქტიკულ (შემთხვევის ანალიზის) დონეზე განასხვავებს სამართლიან და უსამართლო ომებს; იკვლევს ომთან დაკავშირებული საკითხების ნორმატიულ წინააღმდეგობებს;
6. განსაზღვრავს და კრიტიკულად იაზრებს დარგის თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში დაწინაურებულ უახლეს მეთოდებსა და მიდგომებს, შეუძლია აკადემიური და ეთიკის სტანდარტების დაცვით, დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა აღნიშნული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; განსაზღვრავს საკუთარი კვლევის ანალიტიკურ ჩარჩოსა და მეთოდოლოგიას; თავისუფლად

## EDUCATIONAL PROGRAM

იყენებს კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს, ფლობს რა მათი შერჩევის სტრატეგიებსა და მონაცემთა ანალიზის ტექნიკებს; შეუძლია სათანადო თეორიული პერსპექტივიდან, კრიტიკულად გაანალიზოს თეორიული და ემპირიული მონაცემები, მოახდინოს მათი ინოვაციური სინთეზი და შეფასება და ჩამოაყალიბოს დასკვნები კვლევის შედეგებზე დაფუძნებით; შეუძლია კრიტიკულად შეაფასოს კვლევითი ნაშრომის ხარისხი ავტორის ფილოსოფიური პოზიციისა და ნაშრომში გამოყენებული ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური მიდგომების გათვალისწინებით;

7. შეუძლია აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, იქონიოს პროფესიული კომუნიკაცია საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებთან და პრაქტიკოსებთან, წარმოადგინოს კომპლექსური ინფორმაციის ორიგინალურ ანალიზს დაფუძნებული დასკვნები და მოსაზრებები დისკუსიებისა და სამუშაო შეხვედრების დროს; მოამზადოს და წარადგინოს კვლევითი პროექტი;
8. აანალიზებს მორალურ დილემებს, რომელსაც სოციალური მეცნიერებების მკვლევარი აწყდება საკუთარი სამუშაოს შესრულების დროს, ასევე, ეთიკური საკითხებისა და ზოგადად, ეთიკური კვლევების მნიშვნელობას და აყალიბებს საკუთარ ფასეულობებს დარგის თანამედროვე ნორმებისა და სტანდარტების ცოდნის საფუძველზე;
9. შეუძლია დაგეგმოს და დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი სწავლა; მოახდინოს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში არასაკმარისად შესწავლილი საკითხების იდენტიფიცირება და განსაზღვროს შემდგომი კვლევის საჭიროება; დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი კვლევითი ინტერესები.

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა:

პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8	სწავლის შედეგი 9
1	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
2	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		

## EDUCATIONAL PROGRAM

3	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
---	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------

### სწავლის შედეგების რუკა:

სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	კომპეტენციების ჩამონათვალი								
	ცოდნა და გაცნობიერება; უნარი; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა								
	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8	სწავლის შედეგი 9
სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>				<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
საერთაშორისო ურთიერთობების ეკოლუციის ანალიზი		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
თვისებრივი კვლევის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>					<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
მსოფლიო პოლიტიკა - პროცესები და ტენდენციები		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ომი და მშვიდობა საერთაშორისო ურთიერთობებში		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>					<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
საქართველოს საგარეო პოლიტიკის ანალიზი		<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>		<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>

## EDUCATIONAL PROGRAM

სამაგისტრო ნაშრომი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
--------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------	-------------------------------------

### სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების განხორციელება ხდება სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

**ლექცია** - ძირითადი თეორიული მასალის, ცნებების და სხვ. განხილვა სტუდენტთა აქტიური ჩართულობით. იგი ძირითადად ორიენტირებულია შესასწავლი მასალის მეცნიერული თეორიებისა და მიდგომების საფუძვლიან შესწავლაზე. აქ აქტიურად ხდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება, რა დროსაც გონებრივი იერიშის და სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით ხდება სტუდენტთა აქტიური ჩართვა დისკუსიებში, თემების ნათლად წარმოსახვასა და გარკვევაში.

**სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - ჯგუფური მუშაობა ავითარებს თანამშრომლობის პირობებში კონკრეტული ამოცანების დაგეგმვისა და რეალიზების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს ხდება ქეისების, ქვიზების, სავარჯიშოების, მაგალითების განხილვა, რითაც სტუდენტები იძენენ პრობლემის ჯგუფურად გადაწყვეტის უნარ-ჩვევებს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გუნდში მუშაობის უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას, სხვათა აზრის გათვალისწინება/გაზიარებას და კორექტული კომუნიკაციის კომპეტენციების დაუფლებას.

**პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა** - პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მეცადინეობებზე საკითხების სიღრმისეული წვდომის მიზნით ხდება ყურადღების კონცენტრირება საკითხების შესაბამისი მაგალითების, შემთხვევის ანალიზის (ქეისების) თუ ვიდეომასალების განხილვაზე, სავარჯიშოების შეთავაზებაზე, მათი გადაწყვეტის, ამოხსნის გზების ძიებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას და შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას.

**სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეთ ლექციაზე მოსმენილი საკითხების და თემების დეტალიზაციის, უკეთ გარკვევისა და გაანალიზების რეალური შესაძლებლობა. სემინარი ცოდნის გადაცემის საშუალებაა, რომლის დროსაც იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები და ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვას კოორდინირებას უწევს ლექტორი. სემინარული მუშაობა ტარდება საჭიროებისამებრ, სალექციო მასალის გადაცემის კვალდაკვალ.

**დამოუკიდებელი მუშაობა** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით შესაძლებელია ლექციაზე შეძენილი ცოდნის გამყარება და გაღრმავება. დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს სახელმძღვანელოებისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გამოყენებით მასალის მოძიებას, წაკითხვას, გააზრებასა და შესწავლას, ასევე ლექციის მსვლელობისას მიღებული საშინაო დავალებების შესრულებას. ყოველივე აღნიშნული ხელს უწყობს



## EDUCATIONAL PROGRAM

საკითხებისადმი ინტერესის გაღვივებას, საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილს, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

აღნიშნული სწავლა/სწავლების მეთოდების განხორციელება ხდება შემდეგი აქტივობების გამოყენებით:

**პრეზენტაცია** (ლექტორის მიერ) – იგულისხმება თხრობა და საუბარი, რომლის დროსაც ინფორმაცია გადაეცემა პედაგოგიდან სტუდენტს. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. მნიშვნელოვანია ლექტორის მიერ ინფორმაციის სწორი აღქმისა და გაგების უზრუნველყოფა და გადამოწმება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი ინსტრუქციების მიცემა. ლექტორს მოჰყავს კონკრეტული მაგალითები და იძლევა დეტალურ განმარტებებს.

**დემონსტრირება** – დემონსტრირების დროს ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენა ხდება. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია, რადგან ითვალისწინებს სტუდენტის სხვადასხვა ტიპის ინტერესებს. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალის ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიწოდება. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც ლექტორის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**ინდუქცია** - ინდუქციის მთავარი მიზანია კონკრეტული ფაქტებისა და შემთხვევების განზოგადებაზე დაყრდნობით სტუდენტმა აღმოაჩინოს და ჩამოაყალიბოს ზოგადი პრინციპები თუ საფუძვლები, რომელთა ჭრილობა შესაძლებელია პროცესების განხილვა და მოვლენების ახსნა. სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქცია** - სწავლა-სწავლების ტრადიციული მიდგომა, სადაც ლექტორი არის ინფორმაციის მთავარი წყარო და მისი ხელმძღვანელობით სტუდენტები ეცნობიან ზოგად თეორიებს; შედეგად კი, მათი მეშვეობით ცდილობენ ლოგიკისა და ანალიზის დახმარებით მოიძიონ კონკრეტული მაგალითები, მიიღონ ცოდნა და გამოიმუშაონ სათანადო უნარ-ჩვევები. დედუქცია განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ მასალის გადმოცემის თვალსაზრისით, პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისკენ.

**ანალიზი** - თანამედროვე სამყაროში მრავალი სამეცნიერო დისციპლინა კომპლექსური გახდა; შესაბამისად, მათი შემსწავლელი კურსებიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ანალიზის მეთოდი კი გვეხმარება როგორც მულტიდისციპლინარული, ასევე ინტერდისციპლინარული



## EDUCATIONAL PROGRAM

კურსების მასალის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. მოცემული მიდგომა შესაძლებელს ხდის შესასწავლი საკითხის ცალკეულ ასპექტებად დანაწევრებას; ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზი** - მისი მიზანია ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანი მიდგომის შედგენა. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**შემთხვევების შესწავლა (case study)** - აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზი, რომელიც გულისხმობს კონკრეტული სფეროდან აღებული რეალური, პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვით სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მრავალმხრივ შეისწავლოს საკითხის არსი, გაანალიზოს პრობლემის გადაჭრის შესაძლო მიდგომები და საშუალებები და მოიძიოს, აირჩიოს და დაასაბუთოს მოქმედების კონკრეტული სტრატეგიები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. „შემთხვევა“ (ქეისი) წარმოადგენს კონტექსტს და იგი თავად არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული სასწავლო კურსის მსვლელობისას მიღებული ცოდნა სტუდენტმა გამოიყენოს პრაქტიკაში, ანუ რეალურ შემთხვევასთან მიახლოებულ გარემოში.

**გონებრივი იერიში (brain storming)** - იგულისხმება კონკრეტულ საკითხზე მრავალრიცხოვანი, განსხვავებული მოსაზრებების ჩამოყალიბება. იგი ხელს უწყობს შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, როდესაც სტუდენტები ცდილობენ საკითხის მრავალმხრივ დანახვას და დეტალურად განხილვას. მოცემული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჯგუფის ყოველი წევრის მაქსიმალურ ჩართულობას. იგი განსაკუთრებით ეფექტურია მრავალრიცხოვანი ჯგუფის კონტექსტში.

**დისკუსია** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსიის მსვლელობისას ხდება სხვადასხვა მოსაზრების დაპირისპირება და პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ შეკითხვების დასმით. საბოლოო მიზანი ასევე არის განსხვავებული აზრების შეჯერება. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**პროექტი** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

## EDUCATIONAL PROGRAM

**პრეზენტაცია (სტუდენტის / სტუდენტების მიერ)** - თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით პრეზენტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ინტერაქტიულ და, თვალსაჩინოების კუთხით, ყველაზე ეფექტურ მიდგომას. იგი არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის და მიღებული შედეგების პრეზენტაციის პირობებში. იგი ამალღებს სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მოტივაციას, ასევე, ავითარებს კონკრეტულ უნარ-ჩვევებს - დაგეგმვა, კვლევის ჩატარება და მონაცემებისა თუ არგუმენტების თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ასევე ავითარებს ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად მუშაობის უნარს.

**ელექტრონული საშუალებებით სწავლება** - გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.

**პრობლემების გადაჭრა** - აქტივობა, რომელიც სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა კონკრეტული პრობლემის შესწავლის, ანალიზისა და გადაჭრის გზით. მისი გამოყენებისას მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს პრობლემის გადაჭრით მიღებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ამ მეთოდის გამოყენებით სტუდენტს უვითარდება ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

**ჯგუფური მუშაობა** - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**ინდივიდუალური მუშაობა** - სასწავლო პროცესით განსაზღვრულ აქტივობებზე და სასწავლო პროცესში მიღებულ დავალებებზე სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობა.

**წიგნზე მუშაობა** - სწავლის პროცესში აქტიურად გამოიყენება სწავლა/სწავლების საშუალება, რომლის დროსაც სტუდენტი ამუშავებს მასალას მიცემული ლიტერატურისა და სხვა წყაროების გამოყენებით.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა** - იგულისხმება ახალი ცოდნის მიღებისა და შეძენილი ცოდნისა და სპეციფიკური უნარ-ჩვევების ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად დარგიდან ან სფეროდან აღებული კონკრეტულ პრობლემების გამოყენება.

**პრეზენტაციის მომზადება** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება კონკრეტული საკითხისა თუ თემის შესწავლა და ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორცაა დაგეგმვა, კვლევის ჩატარება, მონაცემებისა თუ არგუმენტების დამუშავება, ანალიზი და დამაჯერებლად წარმოდგენა. იგი ავითარებს სტუდენტის ინდივიდუალურად მუშაობის უნარს.

## EDUCATIONAL PROGRAM

**საშინაო დავალების შესრულება** - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობა, რომლის დროსაც ხდება სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესით განსაზღვრული და სასწავლო პროცესში მიღებული საშინაო დავალებების შესრულება. საშინაო დავალების შესრულება გულისხმობს სასწავლო პროცესით გათვალისწინებული მასალის წაკითხვა, დამუშავებასა და შესწავლას ასევე მიღებული დავალებების წერილობით შესრულებას ან ზეპირ ფორმით წარმოდგენას.

**ელექტრონული საშუალებებით სწავლა** - გულისხმობს სწავლას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლის პროცესის ყველა კომპონენტს, რომელთა რეალიზება ხდება ინტერნეტისა და მულტიმედიური სპეციფიკური საშუალებებით.

**ახსნა-განმარტების მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორი და სტუდენტები დეტალურად მსჯელობენ ამა თუ იმ საკითხზე კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით. ამ მეთოდს აქვს ორმაგი ეფექტი - სტუდენტებს განემარტებათ კომპლექსური საკითხები, ხოლო ლექტორს ეძლევა შესაძლებლობა გადაამოწმოს, რამდენად მიიღწევა საკითხების სრული გაცნობიერება.

**დებატები** – სავარჯიშო სტუდენტებისთვის, რომელიც მათ უვითარებს არგუმენტების შედგენის, დამადასტურებელი მტკიცებულებების გამოყენების და აღნიშნულის ზეპირი ფორმით დამაჯერებლად გადმოცემის უნარს. სტუდენტი იძენს სტრესთან და ეჭვებთან გამკლავების გამოცდილებას მაშინ, როცა მისი მოწინააღმდეგე მხარე მის პოზიციას მკაცრად აკრიტიკებს. ასეთი გამოცდილება სტუდენტებს ეხმარება ისწავლონ აღნიშნულ სიტუაციებთან გამკლავება და აიმაღლონ თავდაჯერებულობა. სტუდენტებს მიეცემათ საშუალება ივარჯიშონ და გაიუმჯობესონ საჯარო გამოსვლის და რიტორიკის უნარები.

**ინტერაქტიული ლექციები** – ეს მეთოდი გულისხმობს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სალექციო თემის შესახებ დისკუსიაში. მცირე ჯგუფებში ან წყვილებში ამ მეთოდის გამოყენებით, ლექტორი ხვდება, რამდენად ესმით სტუდენტებს აღნიშნული თემა, სანამ მოხდება აუდიტორიისთვის მისი დაწვრილებით ახსნა. ლექციები უფრო ინტერაქტიული ხდება, თუ მსმენელებს შევკითხვებით საკუთარი გამოცდილების შესახებ, რაც თემასთან უნდა იყოს კავშირში. სტუდენტებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ კონკრეტული შემთხვევები, დაკვირვებები, ასახსნელ თემასთან მიმართებაში. ამასთანავე, თანაგუნდელები ხელს უწყობენ სხვებს თხრობის დროს, როდესაც არსებობს დამატებითი ხელშეწყობის საჭიროება. აღნიშნული ქმნის თავისუფალ და მეგობრულ გარემოს სწავლებისათვის.

**კრიტიკული აზროვნება** – სოკრატეს მეთოდი, რომელიც იყენებს შეკითხვებს სტუდენტების ღირებულებების და პრინციპების შესაფასებლად. ხაზგასმულია არა ცოდნა, არამედ აზროვნების უნარი. ამ მეთოდისთვის საჭიროა აუდიტორიაში იყოს ისეთი გარემო, რომელსაც უწოდებენ „პროდუქტიულ დისკომფორტს“ და იყენებენ იმ მიზნით, რომ ხაზი გაესვას სირთულეებს, კომპლექსურობას და გაუგებრობას, და არა წმინდა ფაქტებს.

## EDUCATIONAL PROGRAM

**როლური თამაშები** – ეს მეთოდი გულისხმობს მონაწილეების მიერ სხვა პირთა როლის მორგებას და გათამაშებას. მეთოდის დროს სტუდენტებს ეძლევათ ღია ტიპის სიტუაციები, სადაც მათ ევალებათ მიიღონ გადაწყვეტილება ან იმსჯელონ კონფლიქტური შემთხვევების მოგვარებაზე. როლური თამაში არის სწავლის ეფექტური სტრატეგია, რადგან იგი ეხმარება მონაწილეებს, კარგად გაიაზრონ იმ ინდივიდის როლი, რომელსაც ისინი მოცემულ მომენტში განასახიერებენ. ამასთანავე როლური თამაში გულისხმობს სტუდენტის უშუალო ჩართულობას და რეალურ სიტუაციასთან მიახლოებას. აღნიშნული მეთოდი საინტერესოა კრიტიკული აზროვნების, გადაწყვეტილების მიღებისა და მტკიცების უნარების განვითარებისათვის. როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს გააცნობიერონ, თუ როგორია სხვადასხვა სიტუაციებში შესაფერისი ქცევა.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

## EDUCATIONAL PROGRAM

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო სასწავლო კომპონენტის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) შეფასების სისტემა ზემოთ მოცემულის ანალოგიურია, გარდა შემდეგი შემთხვევისა: სტუდენტის მიერ ზემოთ მოყვანილი (FX) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, მას უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) პუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

კვლევითი კომპონენტის შეფასების კონკრეტული კომპონენტები და კრიტერიუმები მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება მთლიანობაში, ერთიანად დასკვნითი შეფასებით, რომელიც შედგება ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომისიის შეფასებებისაგან. ხელმძღვანელი აფასებს 30 ქულით (ფორმა IBSU\_R04F05.b.), რეცენზენტი 33 ქულით (ფორმა IBSU\_R04F04.b.) ,



## EDUCATIONAL PROGRAM

კომისია 37 ქულით (ფორმა IBSU\_R04F01.). დასკვნითი შეფასებისათვის, აღნიშნული შეფასებები ჯამდება. სამაგისტრო თემის დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულა არის 100.

### სწავლების ორგანიზების თავისებურებები:

პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტი გადანაწილებულია 2 აკადემიური წლის, 4 სემესტრის განმავლობაში, თითოეულ სემესტრში 30 კრედიტის ოდენობით. დამასრულებელ სემესტრში გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და საჯარო დაცვა.

პროგრამის ფარგლებში, არჩევით სასწავლო კურსების გავლისათვის გამოყოფილი 32 კრედიტიდან, სტუდენტებს უფლება აქვთ, სურვილის შემთხვევაში 8 კრედიტი გამოიყენონ თავისუფალი კრედიტების სახით.

### დასაქმების სფერო:

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ საგარეო საქმეთა სამინისტროში; იმ სახელმწიფო სტრუქტურებში, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, კერძოდ, თავდაცვის სამინისტრო, სხვადასხვა სამინისტროების საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტები; არასამთავრობო როგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, კვლევით ცენტრებში, უნივერსიტეტებში და ა.შ.

ამასთან, კურსდამთავრებულებს შეეძლება, განაგრძონ სწავლა სადოქტორო პროგრამაზე საკუთარი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

### ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ მუშაობას:

- პროექტორებით და სხვა სასწავლო რესურსით აღჭურვილი აუდიტორიები;
- საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც ემსახურება სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და კლასგარეშე აქტივობებს, კერძოდ: საჯარო ლექციებს, კონფერენციებს, სიმულაციებსა და სემინარებს;
- უწყვეტი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრი;
- უფასო უკაბელო და საკაბელო ინტერნეტი სტუდენტებისათვის და აკადემიური პერსონალისთვის სასწავლო შენობის ტერიტორიაზე;



## EDUCATIONAL PROGRAM

- ინფორმაციული სისტემა SIS, თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური პროფილით, სადაც ხელმისაწვდომია სტუდენტის ნიშნების ფურცელი და ინფორმაცია მისი აკადემიური მოსწრების შესახებ. ბაზა იძლევა შესაძლებლობას სტუდენტები დარეგისტრირდნენ, აირჩიონ სასწავლო კურსები, შეუკვეთონ სხვადასხვა ტიპის ცნობა, შეაფასონ საგანმანათლებლო პროცესი და სხვა;
- სტუდენტური პორტალი - სმარტი, რომელიც ფორმალური კომუნიკაციის საშუალებაა ლექტორებსა და სტუდენტებს შორის. აქ ხელმისაწვდომია სასწავლო კურსების მასალები, სასწავლო კურსებთან დაკავშირებული ინფორმაცია და სიახლეები;
- თანამედროვე ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მდიდარი ბეჭდური და ელექტრონული წიგნების ფონდით, მათ შორის, სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურით აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- წვდომა ელექტრონულ ბაზებთან:
  - Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>)
  - e-Duke Journals Scholarly Collection (<https://read.dukeupress.edu/>)
  - Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/>)
  - Edward Elgar Publishing Journals (<https://www.elgaronline.com/>)
  - European Respiratory Journal (<https://erj.ersjournals.com/>)
  - IMechE Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE>)
  - Mathematical Sciences Publishers Journals (<https://msp.org/>)
  - Open Book Publishers E-books (<https://www.openbookpublishers.com/>)
  - Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>)
  - SAGE Journals (<https://journals.sagepub.com>)
- სტუდენტებისათვის გამოყოფილი სამეცადინო ფართი.
- უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა მატერიალური რესურსი.

### სასწავლო გეგმა

#	სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კრედენტი	კრედიტების განაწილება სასწავლო	საათების განაწილება	საკონტაქტო საათების რაოდენობა კვირაში
---	---	---------	----------	--------------------------------	---------------------	---------------------------------------

## EDUCATIONAL PROGRAM

		ს რ ა ფ ე ნ ობ ა	I ს.წ.		II ს.წ.		საკონტაქტო					და ამო უკი დე ბე ლი მუშ აობ ა	ჯამ ური საა თებ ი	
			I ს ე მ ე ს ტ რ ი	II ს ე მ ე ს ტ რ ი	III ს ე მ ე ს ტ რ ი	IV ს ე მ ე ს ტ რ ი	წ მ ე ც ვ ონ ს უ რ ე ტ ა ცი ა	ს ე მ ი ნ არ ი/ ჯ გ უ შ ურ ი მ უ შ ა ო ბ ა/ პ რ ა ე ტ ი კ უ ლ ი ს ა მ უ შ ა ო	მ ა რ ე ტ ა ცი ა	მ ე ტ რ ა ცი ა	მ ე ტ რ ა ცი ა			
<b>I</b>	<b>სავალდებულო სასწავლო კურსები</b>	<b>58</b>	<b>2</b>	<b>2</b>	<b>1</b>		<b>18</b>	<b>160</b>	<b>12</b>	<b>16</b>	<b>372</b>	<b>107</b>	<b>1450</b>	<b>24</b>
1	IRP001 სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია	6	6				25	18	2	2	47	103	150	3
2	IRP005 საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის ანალიზი	8	8				29	14	2	2	47	153	200	3
3	IRP004 საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	8	8				15	28	-	2	45	150	200	3
4	IRP003 თვისებრივი კვლევის მეთოდები	6		6			15	28	-	2	45	105	150	3

## EDUCATIONAL PROGRAM

5	IRP007 მსოფლიო პოლიტიკა - პროცესები და ტენდენციები	სავალდებულო	8		8			21	22	2	2	47	153	200	3
6	IRP197 ომი და მშვიდობა საერთაშორისო ურთიერთობებში	სავალდებულო	8		8			23	20	2	2	47	153	200	3
7	IRP002 რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	სავალდებულო	6		6			29	14	2	2	47	103	150	3
8	IRP015 საქართველოს საგარეო პოლიტიკის ანალიზი	სავალდებულო	8		8			27	16	2	2	47	153	200	3
II	<b>კვლევითი კომპონენტი</b>		<b>30</b>				<b>30</b>	<b>29.5</b>		<b>0.5</b>		<b>30</b>	<b>720</b>	<b>750</b>	<b>1</b>
1	INT308 სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	30				30	29.5		0.5		30	720	750	1
II I	<b>არჩევითი სასწავლო კურსები</b>		<b>32</b>	<b>8</b>	<b>8</b>	<b>16</b>		-	-	-	-	-	-	<b>800</b>	<b>12</b>
1	IRP014 გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო ურთიერთობებში	არჩევითი	8					11	32	2	2	47	153	200	3
2	IRP510 თანამედროვე საერთაშორისო სამართალი	არჩევითი	8					16	27	2	2	47	153	200	3
3	IRP519 გლობალური მმართველობა	არჩევითი	8					15	28	2	2	47	153	200	3
4	IRP103 საერთაშორისო უსაფრთხოება	არჩევითი	8					23	20	2	2	47	153	200	3
5	IRP006 ევროკავშირი საერთაშორისო ურთიერთობებში	არჩევითი	8					29	14	2	2	47	153	200	3
6	IRP104 აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ისტორია 1900 წლიდან დღემდე	არჩევითი	8					29	14	2	2	47	153	200	3
7	IRP008 აშშ-ის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები	არჩევითი	8					29	14	2	2	47	153	200	3
8	IRP009 რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობებში	არჩევითი	8					24	19	3	-	46	154	200	3
9	IRP010 პოლიტიკური იდეოლოგია და პრაქტიკა ახლო აღმოსავლეთში	არჩევითი	8					24	19	3	-	46	154	200	3

## EDUCATIONAL PROGRAM

10	IRP105 ტრანზიციის პროცესი პოსტკომუნისტურ აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში	არჩევითი	8					27	16	-	-	43	157	200	3
11	IRP101 შედარებითი მმართველობა და პოლიტიკა	არჩევითი	8					28	15	2	2	47	153	200	3
12	IRP196 საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია	არჩევითი	8					27	16	2	2	47	153	200	3
13	IRP011 კონფლიქტების კვლევა	არჩევითი	8					23	20	2	2	47	153	200	3
14	IRP013 დიპლომატია: ტრადიციული პრაქტიკიდან ციფრულ ერამდე	არჩევითი	8					27	16	2	2	47	153	200	3
15	IRP017 საერთაშორისო ეკონომიკის თეორია და პოლიტიკა	არჩევითი	8					26	17	2	2	47	153	200	3
<b>სულ</b>			<b>120 ECTS</b>					-	-	-	-	-	-	<b>3000</b>	<b>37</b>

*შენიშვნა: არჩევითი სასწავლო კურსების შთავაზება შესაძლებელია ნებისმიერ სემესტრში, წინაპირობების დაცვით.*

### წინაპირობების ცხრილი:

სასწავლო კომპონენტი	წინაპირობა	
სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია	-	-
საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის ანალიზი	-	-
საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	-	-
თვისებრივი კვლევის მეთოდები	-	-
მსოფლიო პოლიტიკა - პროცესები და ტენდენციები	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	-
ომი და მშვიდობა საერთაშორისო ურთიერთობებში	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	-
რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	-	-
საქართველოს საგარეო პოლიტიკის ანალიზი	-	-

## EDUCATIONAL PROGRAM

სამაგისტრო ნაშრომი	სამაგისტრო ნაშრომზე დარეგისტრირებამდე, სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონდეს ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი	
გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო ურთიერთობებში	-	-
თანამედროვე საერთაშორისო სამართალი	-	-
გლობალური მმართველობა	-	-
საერთაშორისო უსაფრთხოება	-	-
ევროკავშირი საერთაშორისო ურთიერთობებში	-	-
აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ისტორია 1900 წლიდან დღემდე	-	-
აშშ-ის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები	-	-
რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობებში	-	-
პოლიტიკური იდეოლოგია და პრაქტიკა ახლო აღმოსავლეთში	-	-
ტრანზიციის პროცესი პოსტკომუნისტურ აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში	-	-
შედარებითი მმართველობა და პოლიტიკა	-	-
საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია	-	-
კონფლიქტების კვლევა	-	-
დიპლომატია: ტრადიციული პრაქტიკიდან ციფრულ ერამდე	-	-
საერთაშორისო ეკონომიკის თეორია და პოლიტიკა	-	-

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:**

სასწავლო კურსი	სახელი და გვარი	სტატუსი, კვალიფიკაცია
სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია	გიორგი ლეკვიშვილი	მოწვეული ლექტორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის ანალიზი	ჯონათან გერდეს სკოტ	ავილირებული ასოცირებული პროფესორი, ამერიკისმცოდნეობის დოქტორი

## EDUCATIONAL PROGRAM

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	ნინო კერესელიძე	ავილირებული ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
თვისებრივი კვლევის მეთოდები	ნინო კერესელიძე	ავილირებული ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
მსოფლიო პოლიტიკა - პროცესები და ტენდენციები	ივანნა მაჩიტაძე	ავილირებული ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
ომი და მშვიდობა საერთაშორისო ურთიერთობებში	გიორგი ლეკვეიშვილი	მოწვეული ლექტორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	რატი შუბლაძე	მოწვეული ლექტორი, სოციალური მეცნიერებების მაგისტრი
საქართველოს საგარეო პოლიტიკის ანალიზი	ამირან კავაძე	ავილირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი
სამაგისტრო ნაშრომი	სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს შხსუ-ს აკადემიური პერსონალი ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული ლექტორი, რომელსაც აქვს კვლევის გამოცდილება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.	
გადაწყვეტილებების მიღება საერთაშორისო ურთიერთობებში	გიორგი ლეკვეიშვილი	მოწვეული ლექტორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
თანამედროვე საერთაშორისო სამართალი	ნიკო თათულაშვილი	ავილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი
გლობალური მმართველობა	ნინო კერესელიძე	ავილირებული ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
საერთაშორისო უსაფრთხოება	გიორგი ლეკვეიშვილი	მოწვეული ლექტორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
ევროკავშირი საერთაშორისო ურთიერთობებში	ლევან მახაშვილი / სტივენ ვან ჰეკე	მოწვეული ლექტორი, ევროპული კვლევების დოქტორი / მოწვეული ლექტორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ისტორია 1900 წლიდან დღემდე	ჯონათან გერდეს სკოტ	ავილირებული ასოცირებული პროფესორი, ამერიკისმცოდნეობის დოქტორი
აშშ-ის საგარეო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები	ჯონათან გერდეს სკოტ	ავილირებული ასოცირებული პროფესორი, ამერიკისმცოდნეობის დოქტორი
რუსეთი საერთაშორისო ურთიერთობებში	გიორგი გობრონიძე	მოწვეული ლექტორი, საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი



## EDUCATIONAL PROGRAM

პოლიტიკური იდეოლოგია და პრაქტიკა ახლო აღმოსავლეთში	გიორგი გობრონიძე	მოწვეული ლექტორი, საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
ტრანზიციის პროცესი პოსტკომუნისტურ აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში	ივანა მახიტაძე	აფილირებული ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
შედარებითი მმართველობა და პოლიტიკა	თამთა ცხოვრებაძე	აფილირებული ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია	აზერ დილანჩიევი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
კონფლიქტების კვლევა	ნიკა ჩიტაძე	აფილირებული პროფესორი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი
დიპლომატია: ტრადიციული პრაქტიკიდან ციფრულ ერამდე	ამირან კავაძე	აფილირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი
საერთაშორისო ეკონომიკის თეორია და პოლიტიკა	აზერ დილანჩიევი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი